



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

გიორგი ჭყონია: „- არანაირი ინფორმაცია კომპანისაციის შესახებ არ ყოფილა“

გაზეთი „ალიონი“



თხილის კულტურას, შემოსავლის კუთხით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გლეხის (ფერმერის) ოჯახის შემოსავლებში. ამიტომ, რეგიონის მოსახლეობისათვის უდიდესი ზარალის მომტანი იყო მიმდინარე წლის 5 ივნისის ქარიშხალი, რომელმაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების უმეტესობას გადაუარა და მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. განსაკუთრებული ზარალი მიაღწა თხილის პლანტაციებს, სადაც მოხდა ნაყოფის მასიური ცვენა.

ქარიშხლის შემდეგ მოსახლეობაში გავრცელდა ხმები, რომ სახელმწიფო მოსახლეობას ზარალის ანაზღაურებაში დაეხმარებოდა, თუმცა შემდეგ ეს თემა მიჩუმდა.

ამ რამდენიმე დღის წინ რედაქციაში სოფ. შემოქმედის ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება მოვიდა და მოსახლეობის თხოვნა გადმოგვცა, ჟურნალისტები მეტად დაინტერესებულიყავით თხილის თემით.

—სოფლის რწმუნებულის მოადგილე იყო მონასტრის უბანში. აღწერა ზარალი, ვიცით სავარაუდო ზარალის თანხა. ჯერ-ჯერობით არაფერს გვეუბნება, როდის აგვინაზღაურებს მთავრობა ზარალს...

რედაქციამ მოიკვლია სტიქიიდან მიყენებული ზარალის თემა.

2014 წლის 19 ივნისს, ოფისში მისი მონიშვნის საფუძველზე დაავალდა სოფლის რწმუნებულებს, აღმწერათ სტიქიისაგან მიყენებული ზარალი, შესაბამისი დანართის მიხედვით. როგორც შესაბამისი დარბის ხელმძღვანელები აბოცან, სოფლის რწმუნებულებმა ზემოთხსენებულ მონიშვნის საფუძველზე დაადგინეს თხილის პლანტაციებში მიყენებული ზარალის ოდენობა, რაც 10 600 000 ლარს შეადგენდა. ასევე სხვა ზარალიც დაადგინეს, კერძოდ, აპრილის დასაწყისში (მშობიარის კარიოდში) მოსულმა თოვლმა და კლიმატმა ყინვაში გააოიფრია რიგი სუბტროპიკული მცენარეების ყვავილობის წაყინვა. აქაც იგივე მეთოდით დაადგინეს ზარალის

ოდენობა. ზარალმა კივის პლანტაციებში 1 800 000 ლარი, სხვა სუბტროპიკულ კულტურებში 626 000 ლარი შეადგინა. ამ მონაცემების საფუძველზე სულ ზარალმა მშენიშვნის მონაცემებით 12 726 000 ლარი შეადგინა.

გიორგი ჭყონიამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი: - ჩვენთან არანაირი დოკუმენტი არ არსებობს ამ თემაზე, გარდა აღწერილობისა. ამ წესით ზარალს არ ითვლიან. მარტო გამოკითხვის წესით ზარალი არ ითვლება. მუნიციპალიტეტის მამინდელმა გამგებელმა სოფლის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებს დაავალა, აღწერათ მიყენებული ზარალი. მათაც ზეპირად დაადგინეს ზარალის ოდენობა.

თქვენმა ბურჟუაზიამ — ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის განყოფილების უფროსი: - ჩემთანაც იყვნენ სოფლის რწმუნებულის წარმომადგენლები სოფ. შემოქმედში. ზეპირად ჩაწერეს ინფორმაცია.

ზურაბ ლონდოლაძემ, სოფ. მელექდურის ყოფილი რწმუნებული: - ჩვენ აღვწერეთ მიყენებული ზარალი და მუნიციპალიტეტს გადავცეთ. ჩვენ რაიმე დაპირება არ მიგვიცია მოსახლეობისათვის.

ვატაჟიამ ვუტარაძემ, სოფ. მერიის ყოფილი რწმუნებული: - ჩვენს თემში ზარალი უმნიშვნელო იყო და ამიტომ არ აღვწერია. ისე, ძალიან დიდი რესურსი დასჭირდებოდა თითოეული პლანტაციის ზუსტად აღწერას.

გიორგი ჭყონია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი: - არანაირი ინფორმაცია კომპანისაციის შესახებ არ ყოფილა. 306 ბააშდმარა მს თქმა არ ვიცი. ძალიან ვწუხვარ, უსაფუძვლოა მოსახლეობის მოლოდინი.

ბატონო გიორგი, სამინისტროს რა დავალება ჰქონდა მოცემული?

— ჩვენი ცენტრი სამინისტროს ზოგადოდ ოპერატიულ ინფორმაციას აწვდის სტიქიით მიყენებული ზარალის შესახებ. მაგ. ძლიერი წვიმებისას ყანების დატბორვის, ციტრუსის მოყინვის და ა.შ.

— თხილის პლანტაციების შემთხვევაში რა მოხდა?

— ქარიშხლის შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მორალდემ (ამჟამად მინისტრმა) ოთარ დანელიამ დარბა და დაბავაჟა, აღვწერეთ თხილის პლანტაციებში მიყენებული ზარალი. სამინისტროს სიტყვიერი პითითებით

პროვნილი გიორის საფლავი მოინახულეს

გაზეთი „ალიონი“

აგვისტოს თვე ტრაგიკული ფურცლებითაა სავსე საქართველოს ბოლო 22 წლის ისტორიაში: აფხაზეთის ომის დასაწყისი, 2004 წლის სამაჩაბლოს კომფლიქტი და ბოლოს რუსეთ-საქართველოს ომი, რომლებსაც ასეულობით მშვიდობიანი მოქალაქისა და ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

წელს, 8 აგვისტოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლების თემურ ჭიჭიძის და თამაზ ნიკიტინის საფლავები მოინახულეს, ზურ თენიშვილის სახელობის ქუჩას ესტუმრნენ.

16 აგვისტოს კი 2004 წელს



სამაჩაბლოში დაღუპულ, საქართველოს ეროვნული გიორის, კარალ ზაზა დამენიას საფლავი მოინახულეს.

გარდა ოჯახის წევრებისა, თანამებრძოლებისა, საფლავზე მოვიდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, გადამდარი გენერალ-ლეიტენანტი თამაზ დუბაძე, საქართველოს ძალიან და პატრიოტთა მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრი რევაზ ჯიჯიყიშვილი. მათ ყვავილების გვირგვინით შეამკეს ზაზა დამენიას საფლავი.

მერაბ ჭანუყაძე: „ყველაზე მძიმე აქტივობა სჭირდება თემს“

ნუზარ ოთარიშვილი

ოზურგეთის ახლადარჩეული საკრებულო სწრაფი ტემპით იღებს გადაწყვეტილებებს. საკრებულოს მუშაობის წესს, შესაბამისი რეგლამენტი განსაზღვრავს, მაგრამ დრო არ ითმენს და გადაწყვეტილებების დაქარბული წესით მიღება უწყვეტ.

13 აგვისტოს სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია უძღვებოდა.

ოპოზიციონერი დეპუტატი ლელა ნაცვალაძე, მართალია ახლა საკრებულოსთან კონსტრუქციულ ურთიერთობებს აპირებს, მაგრამ მინც შეახსენა თავი საკრებულოს და ყველა თანამდებობის პირის ჯანმრთელობის ცნობა და ნარკოლოგიური შემოწმება მოითხოვა.

საკრებულოს 13 აგვისტოს სხდომაზე მთავარი საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების მიღების თემა იყო.



ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვია მამაკაიშვილმა წარმოადგინა. მან ანალიზი გააკეთა ბიუჯეტის გარშემო და აღნიშნა შემნილი დევიციტის გამოწვევი მიზეზების შესახებ

გზ-2

გზ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +23+34 18 აგვისტო ორშაბათი	მზე, ღრუბელი +22+29 19 აგვისტო სამშაბათი	მზე, ღრუბელი +23+29 20 აგვისტო ოთხშაბათი	მზე, ღრუბელი +23+28 21 აგვისტო ხუთშაბათი	მზე, ღრუბელი +22+28 22 აგვისტო პარასკევი	მზე, ღრუბელი +22+27 23 აგვისტო შაბათი	წვიმა +20+22 24 აგვისტო კვირა
------------------------------------	---	---	---	---	--	----------------------------------

გიორგი ჭყონია: „არანაირი ინფორმაცია კომპანისათვის შესახებ არ ყოფილა“

მოსდა აღწერა. ეს არ მომხდარა კომისიის მიერ. ამას სხვა რამს უნდა აღწეროს მასალაში შესაბამისი დამატება სჭირდებოდა.

—თქვენ რა ინფორმაცია გადაცემის საშუალებით?

—ჩვენ სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არაა სავსე. რა უნდა იყოს — 6 742 000 ლარი. სხვა ინფორმაცია ვადავებები არ არის.

კონსტანტინე სარიშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ყოფილი მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში:

—სათანადო მითითების მიღების თანავე შეიკრიბა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამსახურები და გადაწყდა სოფლის რეკონსტრუქციისათვის მიგვეცა შესაბამისი დავალება. ეს აღწერა არ მომხდარა კომისიური წესით. ამის რესურსი არ

ყოფილა. სოფლებიდან მოსული მასალები ინახება მუნიციპალიტეტში.

—გამგებობას აღწერის მასალები არ გადაუცია სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის?

—30 ივლისს, ქ. თბილისში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ვიყავი მივლინებით სასოფლო-სამეურნეო ბარათებთან დაკავშირებით. იქ გადმოვიგზავნე ელექტრონულად ინფორმაცია (ექსპლანსი ფაილი იყო გასასწორებელი), გავასწორე და გადმოვიგზავნე. ოზურგეთში, რომ ჩამოვედი ახალი მუნიციპალიტეტის ფორმირებიდან გამომდინარე მე უკვე გათავისუფლებული ვიყავი სამსახურიდან...

ისე, ზეპირი აღწერილობით გარდა თხილისა, აქ სხვა კულტურებიცაა შეყვანილი. ამ აღწერას სახელმწიფოებრივი დაპირება ზარალის ანაზღაურების შესახებ არ ახლდა...
alion.ge

მერაბ ჭანუყვაძე: „ყველაზე მეტი აქტიუობა სჭირდება თემს“

I-პრობლემა—პრემიების და ორი თვის კომპენსაციის გაცემა, რამაც 430 ათასი ლარი შეადგინა;

II პრობლემა — დაწყებული პროექტების ფინანსური უზრუნველყოფა; დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები დამთავრებული არ არის; არის გარდამავალი პროექტები. აქ დეფიციტი 90 ათას ლარს შეადგენს;

III პრობლემა — მუნიციპალიტეტის განთავსების პრობლემა. ორთავე მუნიციპალიტეტს არანორმალურ პირობებში უწევთ მუშაობა. ამიტომ უნდა ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები.

მამაკაიშვილმა აღნიშნა, რომ არის უნიკალური სერვერი და საკრებულოს და გამგებობაში განთავსებულ ყველა კომპიუტერს საერთო მართვის ცენტრი ექნება. ამისთვის 40 000 ლარის გამოძებნაა საჭირო. მამაკაიშვილის თქმით, განახლებული კომპიუტერული ტექნიკა გააიოლებს ინფორმაციის მიღებას. საკრებულოს დარბაზში უნდა დაიდგას მიკროფონები და ნოუტბუქები.

დეპუტატების ხარჯისთვის წლის ბოლომდე 42 000 ლარის გამოანხვია საჭირო.

გია მამაკაიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ არ უნდა აიკრძალოს, მაგრამ სემციოდეს პრემიების სისტემა. ზომისა და წონის ფარგლებში ისინი უნდა წახალისდნენ, ვინც მუშაობენ.

მამაკაიშვილმა სთხოვა დეპუტატებს დაეხმარონ რათა არ დაუშვან შეცდომა, ხოლო მათ მოუწოდა, არ დაუშვან შეცდომა სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრისას.

დეპუტატმა ნუგზარ ურუშაძემ საფინანსო სამსახურის უფროსს დაუსვა კითხვა: როგორ გაარჩიონ, ვის ეკუთვნის პრემია და ვის არა, რასაც დეპუტატ ლელა ნაცვალაძის რეპლიცა მოჰყვა: —როგორ არჩევდნენ, უმეტესობა ყავის სმით და სიგარეტის წვეთით იყვნენ დაკავებული, ხოლო დამსწრე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დაამატა: —,ხალხი შიმშილობს და წამალს ვერ ყიდულობს, რა პრემიებზე საუბრობენ?

დეპუტატ ნუგზარ კალანდარიშვილის აზრით, როცა ფული არ არის, რას ფიქრობს საკრებულო წლის ბოლომდე? ამაზე კი საკრებულოს საფინანსო-

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გელა ჩავლიშვილმა უპასუხა, რომ ბიუჯეტი უნდა მიიღონ და დაიწყო მის გაუმჯობესებაზე მუშაობა, რადგან ამის რეზერვი არის.

სოფ. ნატანების მაჟორიტარი დეპუტატის დავით სიხარულიძის აზრით, ძალიან დიდი პრობლემა იქმნება სოფლად, სადაც მუნიციპალიტეტს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ეყოლება.

—სოფ. ნატანები, სადაც 400 კმ. შიდა გზებია, შეძლებს ერთი წარმომადგენელი მუშაობას? ამ სოფლის ტერიტორიაზე მყოფ არასასოფლო-სამეურნეო მიწებიდან და ქონების გადასახადიდან დიდი თანხები შედის ბიუჯეტში...

მერაბ ჭანუყვაძე: —ყველაზე მეტი აქტიუობა სჭირდება თემს. გამგებობის თანამშრომლები უფრო ეფექტურად თანამშრომლობენ სოფლებთან. ჩვენ 134 შტატი გვაქვს ადგილზე.

დიმა კვერელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: —რეალურად შედგა საკრებულო, რომელიც თანამშრომლობს ადმინისტრაციულ ხელისუფლებასთან და პირიქით. ბიუჯეტი გაკეთებულია იმ პოლიტიკით, რაც კეთდებოდა აქამდე. ახალი ბიუჯეტის შედგენისას, უნდა ვისაუბროთ იმ დაპირებებზე, რაც ამომრჩევლებს მივეცით არჩევნებისას.

გარდა ბიუჯეტის პროექტისა, დაიწყო მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და ცალკეული კომისიების დებულებების საჯარო-ადმინისტრაციული განხილვა, მიიღეს დებულებები, დაამტკიცეს მუნიციპალიტეტის გამგებობის საშტატო განრიგი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერელიძე ითხოვდა მომდევნო სხდომისთვის გადაედოთ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ დადგენილების მიღება და საჯარო-ადმინისტრაციული წარმოება დაეწყო. ამის მიზეზი თუნდაც ბაღდადეგა და გადმადგაბუნებულა მოთხოვნებიდან გამომდინარე შესახებ, მაგრამ დეპუტატების უმრავლესობის აზრი იყო, რომ სოფლებში პრობლემებია და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დროულად უნდა შეუდგნენ მუშაობას.

დეპუტატ ნათია შარაშენიძის ბინა თბილისში დაიწვა



მითხრეს, მდგომარი იყო ბინაში, რომელიც ამობს რომ 3 დღეა სახლში არ ყოფილა. პოლიციის პასუხები ხანძრის გარემოების შესახებ არაადეკვატურია. მათი ცინიზმი ჩემს მიმართ გაუგებარია. ახლა ექსპერტიზის დასკვნას ველოდები, ვნახოთ რას იტყვიან.

დღეს, 16 აგვისტოს ლეიბორისტული პარტიის ოფისში ბრიფინგი გაემართე. სადაც ქ. ოზურგეთში. მირიან ხინთიბიძის სახლის დაწვის შესახებაც ვთქვი. მირიანის სახლიც სწორედ

16 აგვისტოს, ქ. ოზურგეთის საკრებულოს ლეიბორისტმა დეპუტატმა ნათია შარაშენიძემ სოციალურ ქსელში შემდეგი განცხადება გაავრცელა: —**ბინა დაიწვა, თუ ეს არ არის იმ მცხოვრები ძალბატონის (მღმურის) დაუდგრობა, ეს იგი ადგილი გვაძლავს ხელისუფლების მიერ ჩემს მიმართ ანგარიშსწორებაზე, რადგან სწორედ აღნიშნულ ბინაში მარ რეზიდენტი ვარ. მსხვერპლია დაფიქსირებული და ველოდები პასუხს. ნელ-ნელა შოკიდან ბამოვლივარ.**

გაზეთი „ალიონი“ ნათია შარაშენიძეს დაუკავშირდა:

—ჩემი კუთვნილი ბინა ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, 14 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში დაიწვა. ხანძარი საიდან გაჩნდა, ვერ

ასეთ გაურკვეველ ვითარებაში არ დაიწვა? გამართულ მანქანას წაეკიდა ცეცხლი, ჩემი ბინაც ცარიელი იყო და ცეცხლი გაუჩნდა. უბრალოდ, საცქვოდ ემთხვევა დროში ჩემი გააქტიურება და ამ ბინის დაწვა, შემთხვევითი კი არაფერი ხდება ბუნებაში. იტყვიან, დამთხვევების და შემთხვევების არ მჯერა, მაგრამ ადგილი დამთხვევა და შემთხვევა? ძალიან საცქვო ვითარება იქმნება და ბევრი კითხვა ჩნდება, პასუხები არც ერთი.

ახლა მინდა გაირკვეს სიმართლე, ვინ დამიწვა ბინა და რატომ. გულის სიღრმეში ძალიან მინდა ეს იყოს მდგომარის დაუდგრობა, აი, ეს თუ ხელისუფლების ანგარიშსწორებაა, მაშინ ძალიან ცუდად გვქონია საქმე. თუმცა ისე მიპყავთ გამოძიება, მაგიქრებინებენ, რომ სწორედ ანგარიშსწორებასთან გვაქვს საქმე.

alion.ge

პრაქტიკანტებს დიალოგები გადამცათ

გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში, უნივერსიტეტ „მასკის“ პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულებს კოლეჯის დირექტორმა ბექა ჭვლიძემ დიპლომები გადასცა. სტუდენტები 2 თვის განმავლობაში პრაქტიკას გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში გადიოდნენ.



ნინო კეკელიძე, მარიამ თოიძე, ქეთი ბოლქვაძე, სალომე გიორგაძე, თორნიკე გორდელოძე, სალომე ცომაია, ვაბა

შენგულია, თამუნა ძირკვაძე — ისინი ოფის-მენეჯერები არიან.

"გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" ოფისის ორგანიზაციის განცხადება

პრესაში და საზოგადოებაში ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაზე გავლენის მქონე პიროვნებათა ჯგუფი მოითხოვს მოქალაქეებისგან ოზურგეთის და, საერთოდ, საქართველოს დატოვებას.

"გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა" ადგილობრივი არჩევნების წინ აფრთხილებდა მოსახლეობას იმ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რაც შეიძლება მოჰყოლოდა მათი მხრიდან გაუთვითცნობიერებელი არჩევანის გაკეთებას. ასევე აფრთხილებდა, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას აპირებდა პიროვნებათა ჯგუფი, რომელსაც გამიზნული ჰქონდა ყველა სფეროს აბსოლუტური კონტროლი, რაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანდა "მინი პროვინციულ ტოტალიტარიზმამდე". ეს, სხვა პრობლემებზე რომ არაფერი ვთქვათ, სამარცხვინო გახლავთ ზოგადად გურიისა და ოზურგეთის საზოგადოებისათვის.

პროცესების ამგვარი განვითარების შედეგად, ჩვენ სრულიად დავკარგავთ ადგილობრივ სამოქალაქო ხელისუფლებას, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება თავის ორგანოებთან (როგორცაა პოლიცია, უშიშროება და ა.შ.) ითანამშრომლებს ე.წ. "არალეგიტიმური საშუალებო რეალით", რომელიც ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს წერის გასაცვლელ ინფორმაციას სათავისოდ გააკონტროლებს ან გადაასწორებს.

განვითარებული მოვლენები აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ "პროვინციული ტოტალიტარიზმის" იდეა აშკარად პროგრესირებს და ამით სერიოზულ საფრთხეს უქმნის არამარტო ჩვენი ქვეყნის მომავალსა და უსაფრთხოებას, არამედ პირდაპირ ხელსაყრის მისთვის არასასურველი პიროვნებების უფლებებს და ამყოფებს მათ არალეგიტიმური წინხის ქვეშ. ამის შესახებ ინფორმირებულ საზოგადოებაში კი ვითარდება მოქალაქეობრივი შეგრძნების დეგრადაციის პროცესები, შიში საკუთარი და ახლობელი ადამიანების უსაფრთხოებაზე, შიში ქონებისა და სხვა



სიკეთის დაკარგვაზე. ეს მთლიანად განადგურებს საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში საზოგადოებრივი განვითარებისაკენ გადადგმულ ყველა დადებით შედეგს.

"გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა" მოუწოდებს საზოგადოებას გააქტიურებისაკენ და ძალების გაერთიანებისაკენ ამ მეტად სერიოზული პრობლემის აღმოსაფხვრელად. ასევე მოუწოდებს სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს, ვის კომპეტენციაშიც შედის შემოსხნებული მოვლენისადმი სამართლებრივი რეაგირება, დაუყოვნებლივ შეისწავლოს, გაანალიზოს და ადკვთოს ქალაქ ოზურგეთში მიმდინარე ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი პროცესები.

"გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" ოზურგეთის რაიონული მოძრაობა დაიცავს ყველა იმ პირის უფლებებს, რომელთა მიმართაც ხორციელდება უკანონო რეპრესიები.

შეგიძლიათ მივმართოთ დახმარებისათვის - **ოფისში, 26 აპრილის ქუჩა №12; ტელ.: 568630080**

ოზურგეთში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი გაიხსნა

ნუზუარ ასათიანი



როგორც ვიცით, ქ. ოზურგეთში შეიქმნა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული ცენტრი, რომელსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი ავთანდილ სურგულაძე ჩაუდგა სათავეში. ავთანდილ სურგულაძემ ამ თემაზე გვესაუბრა:

— საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონალური ცენტრის სამოქმედო არეალი დასავლეთ საქართველოა. ამ ეტაპზე ცენტრის ხელმძღვანელის თანამშრომელ საყვარელ დაინიშნა, დანარჩენი სტრუქტურები ჩამოყალიბების პროცესშია, რომელიც დაკომპლექტდება პროფესიონალი სპეციალისტებით.

როგორც ვიცით, ფოლკლორის ცენტრი განთავსდება ისტორიული მუზეუმის მარცხენა ფლიგელში. ცენტრს უზურგეთის ფორმით გადაეცა 1380 კვ. მეტრი ფართი. ჩამოსული იყვნენ არქიტექტორები, ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები. ესკიზი მზადაა და უახლოეს ხანში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაპირებით, სარეზერვო ფონდიდან კაპიტალური რემონტისათვის გამოიყოფა შესაბამისი თანხა. ახალი პროექტით, შენობა მთლიანად იცვლის

ეირ-სახეს. იცვლება სახურავი, შენობის გვერდები, ვენტილაცია, განათებები.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ იხსნება ფოლკლორის ბიბლიოთეკა, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილი გადასცემს ყველა იმ მოკვლევულ მასალას, რაც მას მისი მოღვაწეობის პერიოდში მოუძიებია.

უფრო კონკრეტულად: I სართულზე მოწყობა თანამედროვე ხმის ჩამწერი სტუდია; II სართულზე საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზი იქნება; III-ზე საკონცერტო დარბაზი; IV-სართული — ოფისი.

მუზეუმის კედელს ეხსნება ფილები და შუშის ვიტრაჟები კეთდება. სახურავი იქნება შუშის (ბუნებრივი განათება). შენობის წინა მხარეს იქნება ეთნოგრაფიული კუთხე. მუზეუმის დირექცია მარჯვენა მხარეს, IV სართულზე განთავსდება.

ფოლკლორის ცენტრში მოსულ სტუმარს, ბიბლიოთეკაში შეეძლება არა მარტო აუდიო და ვიდეო ჩანაწერების მოსმენა, არამედ ცოცხალი შესრულებით მოუსმინონ ამ მოძღვრებს.

— მაინც რა მთავარი მისია ექნება უშუალოდ ფოლკლორის ცენტრს?

— ფოლკლორის ცენტრი კონსულტაციებს გაუწევს დასავლეთ საქართველოს ყველა ფოლკლორულ ანსამბლს.

გაიმართება ფესტივალები; ჩატარდება ექსპედიციები დას. საქართველოს ყველა კუთხეში;

დღეს თუკი ჩვენ ოზურგეთში გიორგი სალუქვაძის ფესტივალს ვატარებთ, ხვალ ასეთი ფესტივალები უფრო დიდი მასშტაბით ჩატარდება და მთავრი მიზანი — ოზურგეთი ფოლკლორის ქალაქი!

ყველაფერი ეს კი გამოიწვევს, ტურისტების ნაკადის ზრდას, ოჯახური სასტუმროების აუცილებლობას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ყველაფერი ეს შემოსავლებში აისახება და დღის წესრიგში დადგება სასტუმროს აგების აუცილებლობა.

„საქართველოს კლიერი ჯარი სჭირდება“

გაზეთი „ალიონი“



განაცხადა გაზეთ „ალიონთან“ საუბარში საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტმა, ვახტანგ გორგასლის სამეზის ორდენის კავალერმა **თამაზ ლუმბაძემ**.

— მიზანია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას ხელმძღვანელობით, ქართული ჯარი ძლიერდება და ალბათ ერთ წელიწადში საერთაშორისო სტანდარტების დონის არმია გვეყოლება.

— **თქვენ დიდი ხნის განმავლობაში თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყავით** — პირველი, რაც შეიქმნა ეს ეროვნული გვარდია იყო. 1991 წლიდან 2003 წლამდე („ნაციონალური“ ხელისუფლების მოსვლამდე) თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვიყავი და ძალას და ენერჯიას არ ვიშურებდით ქართული ჯარის გასაძლიერებლად. მასწავლებელი, სტალიონ „მეგობრობაზე“ ჩავატარეთ ეროვნული გვარდიის ოზურგეთის ბატალიონის ალუმი.

— **ზაზა დამენიაზე რას გვეტყვით?**

— ზაზა სამაჩაბლომდე აფხაზეთში იბრძოდა. შემდეგ იყო სამაჩაბლო. მან გააკეთა ის, რაც მსგავს სიტუაციაში უნდა გაეკეთებინა მამულიშვილს. სანგარში მტრის ნასროლ ხელფეხმარას გადაეფარა და მისი თანამებრძოლების სიცოცხლე იხსნა. მისი გმირობა უკვდავია.

— **მათ, ვინც ამ ომებიდან სახლებში დაბრუნდა...**

— აფხაზეთის, სამაჩაბლოს ომების ვეტერანებს არანაირი ყურადღება არ ექცევა. ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს მათ დასაქმებაზე.

რევაზ ჯიჯიყაშვილი, გვარდიის მთავარი სამმართველოს მთავარი ექიმი 1990-2004 წ.წ.

— ომში მოგესვენებათ როგორია სამხე-

დრო ექიმის როლი. ათეულობით დაჭრილი ოფიცრისა და ჯარისკაცისთვის გამიკეთებია რთული ოპერაცია. ექიმი სხვა თვალთ ხედავს ომს.

მეც იგივეს გვეტყვი: — ხელისუფლებამ მეტად უნდა იზრუნოს ომის ვეტერანების დასაქმებაზე.

გივი გულადაძე, საქართველოს ძალადგანი და პატრიოტთა მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე: — ზაზა დამენია 1993 წლის 3 იანვარს იმ სამხედრო ნაწილში მოვიდა, რომლის მეთაური მე ვიყავი. ეს ნაწილი კელასურთან იდგა. ერთ-ერთი სამხედრო-სადაზვერვო ოპერაციის დროს, ჩვენთან მებრძოლი ეროვნებით რუსი ჯარისკაცი ჩვენებს შეეშალათ, დაატყვევეს და დახვეტას უპირებდნენ. ზაზა დამენია მიეშველა... საბოლოოდ ჩვენი ჩარევაც გახდა საჭირო. ზაზა ვაჟაკურად იბრძოდა, ისევე, როგორც სხვა ოზურგეთელები. ზაზას დაკარგვა, ჩემთვის უმძიმესი იყო. მან ლამაზი ოჯახი დატოვა და დღეს მის ვაჟს, გიორგი დამენიას უკვე დავაჟაკ-აცებულს ვხვდებით მამის საფლავთან.

გოდერძი მახარაძე ახალი რეკორდისთვის ემზადება

გაზეთი „ალიონი“

გინესის ოთხი ათეული რეკორდის მფლობელი ნალობილევი გოდერძი მახარაძე უახლოეს ხანში მსოფლიო ახალ რეკორდს დაამყარებს. 42 წლის სპორტსმენმა 1996 წლიდან მოყოლებული დღემდე საგინესო-სარეკორდო ასპარეზობით მოიარა ევროპისა და აზიის 22 ქვეყანა: გერმანია, ესპანეთი, პოლონეთი, უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, ყაზახეთი და ა.შ. თავით ბურთის უწყვეტი (8;12; 25 საათიანი) კენწვლის მისი რეკორდი 9 წელიწადი უცვლელი იყო. მასვე ეკუთვნის თავით ბურთის კენწვლის მართონული სვლა ძეგვი-თბილისი, 30 კილომეტრი.

შარშან, 25 ოქტომბერს, ოზურგეთის სპორტის სასახლეში ბურთი თავზე 27 წუთისა და 10 წამის განმავლობაში გააჩერა.

მანვე მეორე რეკორდი ვახტანგ ბლაგიძის ტურნირის ფინალური მსვლელობისასაც დაამყარა. მან თავით ბურთი ერთი წუთის განმავლობაში 245-ჯერ აკენწვლა.

იგი ემზადება, 2 წუთზე ნაკლებ დროში ბურთის კენწვლით 400



მეტრი მანძილის გასარბენად. წინა კვირაში იგი ამ თემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემების გამგებელს მერაბ ჭანუყვაძეს შეხვდა და თანადგომა სთხოვა. გამგებელი თანადგომას შეპირდა.

როგორც გოდერძი მახარაძემ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, იგი ახალი რეკორდის დაამყარებას სექტემბერში გეგმავს. მან, ისიც გაგვიმხილა, რომ მეორე რეკორდის დაამყარებასაც აპირებს, რაც ბურთის კენწვლით ადრე დაამყარებულ რეკორდზე (32 წუთი 52 წამი) ნაკლებ დროში 5 კილომეტრი მანძილის გავლას გულისხმობს.

ღვაწლმოსილი

კარგი ქალებით, დელებით ყოველთვის ამყობდა ქართველი ერი, ქართული საზოგადოება. „ნეტავ იმ ერს, ვისაც კარგი ქალი-დედა ჰყავს“, არაერთხელ უთქვამს დიდ მგოსანს, აკაკი წერეთელს. „ბევრ-ჯერ სჯობია სიკვდილი, ლამაზი დედის წყენასა“ — ამბობდა ვაჟა-ფშაველა. სწორედ ასეთ კატეგორიას განეკუთვნება ქ-ნი ლეილა როყვა. ჩვენ ერთად ვსწავლობდით სოფლის არასრულ საშუალო სკოლაში. მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს და ამიტომ სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, მის მიერ ლამაზად განვლილი გზის შესახებ. იგი ყმაწვილობიდანვე გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, იყო ნამდვილი ლიდერი. იმ ასაკშიც კი მასწავლებლის დონეზე რჩევის მოძეცე-მი. ამასთან ძალიან უბრალო იყო. არავის აგრძობინებდა, რომ იყო მასწავლებლის შვილი. მისი დედა ქეთევან თავზარაშვილი სასწავლო ნაწილის გამგე, სკოლის დირექტორი, შემდგომში რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი იყო. ქ-მა ლეილამ 1948 წელს წარმატებით დაამთავრა ოზურგეთის მესამე საშუალო სკოლა და ასევე წარმატებით — მაშინდელი პუშკინის სახელობის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. მაშინვე დაიწყო მუშაობა. მალევე თავისი ბედი დაუკავშირა ჯუმათელ ახალგაზრდას, ფარმაცევტ რეზო ჩხარტიშვილს და საცხოვრებლად თბილისში დარჩა. ორი შვილი შეეძინათ. ეს იყო მათი სიხარულის, სიყვარულის, ბედნიერების, წარმატებების, ზოგჯერ წარუმატებლობის წლები. ახალგაზრდები ყველაფერს აკეთებდნენ საზოგადოებაში ღირსეული სახელისა და ადგილის დამკვიდრებისთვის. უხაროდათ, მაგრამ ეს სიხარული ნაადრევად გაქრა. რეზო გარდაიცვალა. დარჩა მარტო ქ-ნი ლეილა თავისი ორი მცირეწლოვანი ბავშვის ამარა. თუმცა გული არ გაუტეხია. იგი 30 წელზე მეტ ხანს მოღვაწეობდა თბილისის 61-ე სკოლაში. აღზარდა საამაყო



შვილები, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს, დაამთავრეს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და თავიანთი სპეციალობით მუშაობენ.

როცა თვალს ვავლებთ ქ-ნი ლეილას მიერ ღირსეულად განვლილ გზას, თამამად შეიძლება შეადარო ის ჯარისკაცის ქვრივს... ყველა დედას, ვინც ცხოვრების უკუღმართობამ, ბედისწერამ ცალად დატოვა. ვინც სინდისიერად ზიდა მძიმე ტვირთი, ღირსეულად ატარა ქართველი ქალის მანძილი. ამდღეული დარჩა საზოგადოების, შვილების წინაშე.

დაიხ, ცხოვრობს ასეთი ქალბატონი ჩვენს დედაქალაქში. ღვაწლმოსილი, სახალხო განათლების წარჩინებული, წარმოსობით ბაილეთელი ლეილა როყვა. რომელიც არ ივიწყებს მშობლიურ სოფელს, იზიარებს მის ჭირსა და ლხინს. მის მიერ განვლილი გზა კარგი მაგალითია ჩვენი მომავალი თაობებისთვის.

ამირან მაგულაიშვილი, სწავლული აგრონომი, ჟურნალისტი.

„ამ ისევ თქვენთან ვარ.“

ნუგზარ ასათიანი



28 წელი გავიდა, ახალგაზრდა, ნიჭიერი არქიტექტორის ოთარ მეფარიშვილის გარდაცვალებიდან. 1986 წლის 26 სექტემბრის უბედური შემთხვევა დიდი ტრაგედია იყო არამარტო მისი ლამაზი ოჯახისთვის, არამედ მეგობრებისთვის და მოლოდინად ოზურგეთისთვის.

ოზურგეთში იმ დროისათვის ნიჭიერი არქიტექტორთა და ინჟინერთა კარგი თაობა იყო თავმოყრილი, რომლებიც ოზურგეთის და მისი დაბასოვლების იერ-სახეზე ზრუნავდნენ და საინტერესო პროექტებს ქნდნენ, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში.

ოთარ მეფარიშვილი თავის მეუღლე მანანა აღნაიასთან ერთად თბილისიდან გადმოვიდა. ისინი ოზურგეთის საპროექტო ბიუროში მუშაობდნენ. ბიურო ძირითადად ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული.

ოთარი არა მარტო კარგი პროექტების ავტორი, არამედ კარგი მეგობარიც იყო.

ერთ-ერთ შემთხვევას გავიხსენებ. დასვლავით სამი ათეული წლის წინ, მისი თვეში ახალგაზრდა პოეტს,

ოზურგეთის საპროექტოს ინჟინერს დავით ტაკიძეს ვესტუმრეთ შემოქმედში (მონასტრის უბანში). აქ იყვნენ ოთარ მეფარიშვილი, საპროექტოს გეოლოგი თემურ საგაია, მამინდელი აღმასკომის თანამშრომლები ვია გობრონიძე, ვია ნიკოლაიშვილი და ამ სტრუქტურების ავტორი.

დავითი ვერ მისის ბლით გაგვიმასპინძლდა და შემდეგ ბატონმა ივანემ (დავითის მამა) სახლში, მაგდასთან მიგვიპატიჟა.

ერთი თაობის, თითქმის ერთი ასაკის ახალგაზრდებს სათქმელიც ბევრი გვქონდა და შემოქმედური „აღსაც“ თავისას შერებოდა. დილის 4 საათამდე დაყავით მაგდასთან. თემურ საგაიამ თქვა, გაზაფხულის ლამაზი ღამეა და ფენით წავიდეთ ოზურგეთში. არ გვიშვებდნენ მასპინძლები, მაგრამ დავძლიეთ და წამოვედით. გზაზე ხმაძალა ვსაუბრობდით, ვიცინოდით... მხოლოდ ოთარი იყო ჩუმად, ხანდახან ღიმილით გადმოგვხედავდა. ისე ჩამოვედით ოზურგეთში, არაფერი უთქვამს. ლამაზი ღამეა და დავიძლიეთ. ის და ვია გობრონიძე სტადიონისკენ წავიდნენ. ჩვენ — ქალაქის ცენტრისკენ...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ვერ ვივიწყებთ მის ღიმილიან სახეს, რომელიც მეგობარს საყვედურის სათქმელად ვერ იბეჭდებოდა...

გავიდა წლები. ქალბატონმა მანანამ ღირსეულად აღზარდა შვილები. კოტე მამის კვალს გაჰყვა და დღეს ქ. თბილისში ერთ-ერთ საპროექტოში მუშაობს. დაოჯახებულია. მეუღლე — მაგდა გოლიაძეც არქიტექტორია. ზაზამ თეატრალური ინსტიტუტში დაამთავრა. სარკელამო სააგენტო „პეგასში“ მუშაობს. ხოლო დედა, ქალბატონი ნათელა კვლავ შვილის საფლავს ევფერება. გთავაზობთ ოთარ მეფარიშვილის მეგობრის, საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მთავალიის, პოეტ დავით ტაკიძის (შემოქმედელის) წერილს, რომელიც ჩვენს გაზეთში 1987 წელს დაიბეჭდა:

ოთარ მეფარიშვილის გახსენება

არიან ადამიანები, რომელთა ამ წუთისოვლიდან წასვლის შემდეგ, გვრჩება მოურჩენელი ტკივილი, შემდგომ მთელი ცხოვრება თავს რომ გვახსენებს, ჩვენს გვერდით კი — ცარიელი ადგილი, რომელიც მხოლოდ მათთვის არის განკუთვნილი და რომლის შევსება დროს აღარ შეუძლია.

ოთარ მეფარიშვილი ერთი ამ რჩეულთაგანი იყო. მინდა ეს წერილი პირადი მოგონებებით შევისოს, რომ მკითხველს მახლოვებით მიანიჭოს წარმოდგენა მისი პორტრეტის.

მასწავლებელი იგი ღირსშესანიშნავი ობიექტების — იპოდრომის, სასროლეთის და არაერთი სხვა პროექტების შექმნის დროს, მთელი ღამის უძილობისაგან გადადიოდა სახანავე მაგდასთან როგორ გამოჰყავდა ხაზები, რომლებიც შემდეგ ბეტონს ჩაისხამდნენ და ჩვენი რაიონის თავმჯდომარეობად შეიქმნებოდნენ...

მასწავლებელი იგი სუფრის თავში — მოლხენილი და მოხდენილი, თავაზიანი, სიკეთით სავსე, ერის მოძალის უკვდავებს რომ ლოცავდა...

ბათუმის საავადმყოფოს კარებთან, ჩემი ბავშვის ავადმყოფობით აწრიალებული ხელში დიდი წითელი ვაშლებით მდგარი...

კაცი, რომელსაც ლექსის ერთი სტრიქონიც არ დაეწერა, პოეტი იყო, მთელი თავისი ცხოვრების წესით და არსით. მოგვასისადმი სიყვარულით იღვწოდა მისი გული და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ერთი თბილი სიტყვა ვერ უთხარით. მაშინ, როცა რამდენი უკაცური კაცისთვის გუნდრუკი გვიჟივია, ტანში ხელისფეხლები გადავიტყავებოდა და კვარცხლბეკზე დავვისვამს.

ერთ დღეს, სამსახურის კარები შევალე თუ არა, სახეზე დამწუხრებულმა შემამჩნია, გასაჭირი. გამომიკითხა და მერე მთელი დღე გვერდიდან არ მომიცილებია, — ვინ არ შეაწუხა და მანამ არ მოისვენა, სანამ ხელნაწილებს ხელი არ შემამშველა. თუმცა იმ დღეს ასე კაცი მაინც შემხვდა და არ დაინტერესებულა, რა მიჭირდა.

გამორჩეულობას და უპირატესობას ხომ არასოდეს გავრძობინებდა; ერთ-ერთ შეკრებაზე დავასახლეთ, როგორც საუკეთესო არქიტექტორი, რომელსაც ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო ნაგებობების პროექტებს ანდობდნენ. მორე დღეს საყვედურნარევი კილოთი მითხრა: „რა ვითქვამს დათია ეს, რომელი კორბუზიე მე მნახე.“

ოთარ მეფარიშვილზე და მის მსგავს ადამიანებზე



მარტო ხსოვნის დღეს კი არ უნდა იფიქრო, არამედ ყოველთვის, როცა სულში უკეთურების ჭია შეგიჩნდება, რომ სიკეთისკენ შემოგაბრუნოს. ხანდახან ვფიქრობ, რა იყო სიკვდილი, შემთხვევითობა თუ აუცილებლობა? ერთიც და მეორეც: ოდნავ გვერდით რომ ჩაველო, ლითონის საზომი რომ არ ყოფილიყო და ა.შ. და აუცილებლობა — ამდენი უგულისყურობის, ამდენი უპასუხისმგებლობით დავისავეთ კიდევ; იქ რომ გამართხილებელი ნიშანი ყოფილიყო, იქ რომ კაბელი შეფუთულიყო, დროზე შეკეთებულიყო... და დარჩა ტრაგედია — ექვდიის სასაფლაოსთან ყოველდღე მდგარი ორი ქალი — ერთი დედა და მეორე მეუღლე და კოლეგა მანანა, ერთ წელიწადში მთელი ცხოვრებით დაბერებული.

ოთარის ტრაგიკულად დაღუპვის იმ ავადმოსავონარ დღეს, პატარა კოტიკო ჭინჭრის სახელურს ეწვიოდა, ქუჩაში გაგარდნას ღამობდა და გაჰყვაროდა, მამა, მამა, სად წავიდაო. ოთარის მამამ კი მწუხარებისგან გულშემოქმედებდა კაცმა, შვილიშვილის გასასხა; „ჩუგეშინია შვილო, ოთარი დაბრუნდება.“ დღეს ოთარის მამა — ბატონი შაქო ჩვენი სამეგობროს ყველა ჭირსა და ღონისში ოთარის ნაცვლად დადის. გაირბენს წლები და ოთარის ორი ვაჟკაცი — უღელი ბიჭი, მამის ნათელ კვალს არ გაამრუდებენ და სიკეთის გზაზე დადგებიან. თითქოს ოთარიც მოვა ჩვენთან — აქვე სუფრის კუთხეში ჩამოვდებოდა, ცალ მხარს ჩვეულებრივ ოდნავ ზემოთ აწევს, გაგვიღივებს და გვეტყვის: მე ისევ თქვენთან ვარ.

(გაზ. „ღმინის დროს“, 11 აპრილი, 1987წ. №44).

კულოცავთ!

უახლოესი მემკობრები როცა გობუაქმ, ნაილი ბრძელიმ, ელიკო ბურჭულაძემ, ნონა ლლონტი, ლელა ღვალაშვილი, იაგუა კილურაძე გულწრფელი სიყვარულით ულოცავენ მარინა ჭულაიას შვილიშვილის კატარა ელენეს შიქინას. გაიზარდოს სახელმწიფო მართებელი ქალი. უარავდეს უშალი!

ჯანსაღი ცხოვრების წესი ყოველთვის აქტუალურია

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ დააფინანსა პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი — აქტიური ახალგაზრდობა“, რომლის ავტორებიც მზიანლები კობა და დავით კილურაძეები იყვნენ. (კობა ინგლისურ ენას ასწავლის სოფ. ასკანაში.) პროექტის თანხა 500 ლარს შეადგენდა და უნდა ჩატარებულიყო ტურნირები მაგიდის ჩოგბურთში, ნარდში, ფეხბურთში.

მაგიდის ჩოგბურთში დავით კილურაძემ გაიმარჯვა, ნარდში — აკაკი ქუთათელაძემ.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ტურნირი ფეხბურთში, სადაც სოფ. მზიანის 2 გუნდი, ბახვის, ასკანის, მშვიდობაურის, დაბალი ეწერის და ქვენობის გუნდები მონაწილეობდნენ.

ფინალში მზიანის და ბახვის გუნდები გავიდნენ. ბახველთა მეკარის რომიკო ჭაფიძის განსაკუთრებულად კარგი თამაშის შედეგად, გამარჯვებულები ბახველები გამოვიდნენ, 3:1. (გუნდის მწვრთნელი გოჩა კრასოტკინი).

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები იყვნენ აკაკი კრასოტკინი და მიმიკო ღონ-



ღუა, რომლებიც ამჟამად თბილისის 35-ე სკოლაში ირიცხებიან.

ოლეგ გაგუამ სპეციალური თასი გადასცა გამარჯვებულებს. ბახველებმა ეს თასი გარდაცვლილი ახალგაზრდების სახელზე დატოვეს სოფელში.

პროექტის ფარგლებში მზიანლებმა შეიძინეს ჩოგბურთის მაგიდა, ბურთები, მზიანის კლუბში შეცვალეს ელექტროგაყვანილობა.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძობს ღვაწლმოსილ პედაგოგს ლეილა ყურაშვილს მეუღლის, უკეთილშობილესი პიროვნების

მამია ლომჯარიას გარდაცვალების გამო.

მეუღლე ლამარა: შვილები ირმა, ილო; რძლები ლია, ლალი; სიძე გელა ღლონტი; შვილიშვილები სოსო, თამაზი, გიორგი, თეო, თამუნა; შვილთაშვილები საბა, ლია იუწყებიან **თამაზ მუჯირის** გარდაცვალებას.

დაიკრძალა 10. VIII. ქ. ოზურგეთში.

თამაზ, დავით მდინარაძეები თანაუგრძობენ მუჯირების ოჯახს **თამაზ მუჯირის** გარდაცვალების გამო.

ქირავდება
ბინა თბილისში, ვერაჯი, კერამო სახლში. (ერთი ოთახი დამოუკიდებელი შესასვლელით). ტელ. (595) 75 65 00 (ნიონი)

იყიდება
მიწის ნაკვეთი (გაშენებული თხილით). მისამართი: შიმოქიძის (ბოში). ტელ. (591) 414 749.

იყიდება
ქ. ოზურგეთის ცენტრში, გამსახურდიას ქ. №28 (სახელმწიფო თეატრთან და რკინიგზის სადგურთან ახლოს) ორსართულიანი, ახალგაზრდაობის კავიტალური სახლი კარგ მდგომარეობაში.
ფასი 50 000 აშშ დოლარი.
დარეკით: (598) 10 54 45 (ზაზა ღარჩია)